წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი, 27 მაისი

# სამშობლო

№ 365

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დილ. 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ბესარიონ სპირიდონის ძე აზნაური ჩაჩიბაია და ძე მისი კონსტანტინე ბესარიონის ძე, დები: ალექსანდრა, მარიამ ბესარიონის ასული ნემსაძისა და სართანიასი და ბიძა კონსტანტინე გლახუას ძე კახიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 28 მაისს, დღის 12 საათზე ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ომში გარდაცვალებულ ფერშლის

**იოსებ ბესარიონის ძის ჩაჩიბაიას**

186 სულის მოსახსენებლად 2—2

23 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ელისაბედ (ლიზა) მიხეილის ასული გრიგოლიასი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მისი ნიკოლოზ ალექსის ძე გრიგოლია, ძმა ვასილ მიხეილის ძე კლდიაშვილი, რძალი მარიამ პავლეს ასული კლდიაშვილისა, ძმისწულები ნიკოლოზ და ვალერიან ვასილის ძენი კლდიაშვილები და მაზლისწული ეკატერინე სილოვანის ასული გრიგოლია. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს $6^1/_2$ საათზე, მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება საფიხვიის სასაფლაოზე პარასკევს, 27 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

189 2—2

**ქალაქი ქუთაისი.** **ქალაქის თეატრი.**

**ხუთშაბათს, 2 ივლისს გაიმართება**

მოსკოვის საიმპერატორო თეატრის დამსახურებული მსახიობის

**თავ. ა. ი. სუმბათაშვილის-იუჟინის**

**საღამო-მეჯლისი**

წაიკითხავს ლექციას თეატრის მნიშვნელობაზე და სხვადასხვა სცენებს და მონოლოგებს საკუთარის, შექსპირის და სხვათა მწერალთა თხზულებიდან.

დასაწყისი საღამოს $9^1/_2$

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

## ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაგმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „ტრინდენისა“. იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოეგურული“ ქუთაისი, კახიანოური. თვ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87

14 თ

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან ახალი პროგრამა.

**წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.**

საფრანგეთის კინემატოგრაფის სინდიკატისა.

**ნავთისა და მილიონების სამეფოში.**

1 სერია იბრაგიმ ბეკ მუსარბეკოვის რომანისა. კინო დრამა ბაქოელ მუსულმანთა ცხოვრებიდან. სცენარიუმა. დ. პაპოვ-პეტიომკინისა, ბ. ნ. სვეტლოვის მიერ დადგმული.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან ახალი პროგრამა.

**წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.**

საფრანგეთის სინემატოგრაფის სინდიკატისა.

**ხან ვარ მეფე, — მბრძანებელი,**
**ხანაც მონა—ცრუ და უბედი,**
**ხან ვარ მატლი, — მავნებელი**
**ხან თვით ღმერთი — შემოქმედი.**

ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ მსახიობთა გრომოვისა და ნელსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 24 მაისი. ოფიციალური რუსეთ-გერმანიის ბრძოლის პირი. დვინსკის რაიონში, პონევეჟის რკინის გზის ჩრდილოეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ სროლით. 23 მაისს, ღამით, სმორგონის სამხრეთით, გერმანელები გამოსცილდნენ მავთულიან ლობეს და მოწინავე თხრილის დაპყრობა დააპირეს, მაგრამ კონტრ-იერიშით და ტყვიის მტყორცნელების სროლით გავაქციეთ თავის თხრილებისაკენ. 23 მაისს გერმანელები კრევოს სამხრეთით სოფ. კოჩანისთან იერიშს შეეცადნენ ჩვენი მოწინავე რაზმების წინააღმდეგ, მაგრამ მაშველი ჯარის დახმარებით უკუ ვაქციეთ. მდ. პრიპიატზე რუმინიის საზღვრამდე ჩვენი ჯარი ანვითარებდა წინად მოპოვებულ წარმატებას. ამ ჟამად ტყვეთა რიცხვი უდრის 480 აფიცერსა და 25,000 მეტ ჯარის კაცს. წართმეულია 27 ზარბაზანი და 50 მეტი ტყვიის-მტყორცნელი.

**კავკასიის ბრძოლის პირი** ბაიბურთის და ერძიჯანის მიმართულებებით ოსმალებს არტილერიის დახმარებით იერიშები მოჰქონდათ ჩვენი ხაზის რამდენიმე ადგილის წინააღმდეგ, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ. ხანეკენთან, რომელიც ბაღდადს ჩრდილო-აღმოსავლეთით 130 ვერსით არის დაშორებული, 21 მაისს ოსმალებს შევუტიეთ.

**პარიზი.** 23 მაისს. ოფიციალური ცნობა დღისით. მაასის აღმოსავლეთით საღამოს და ღამის განმავლობაში გერმანელები განაგრძნობდნენ იერიშებს ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ვო-დანლუს რაიონში, მაგრამ დამარცხდნენ როგორც ფორტ ვო-ს ჩრდილო-დასავლეთით აგრეთვე ფიუმენის ტყის კალთებით, რომელიც ფორტის და სოფ. დანლუს შუა მდებარეობს. ღამე უმკაცრესი ბრძოლა სწარმოებდა ფორტის დამცველთა და მოიერეშე გერმანელების შორის. გერმანელები ადუღებულ სითხეს ხმარობდნენ და ფორტში შეჭრას ლამობდნენ. მიუხედავად ამისა ჩვენმა ჯარმა გერმანელები წინ არ გამოუშვა. მაასის მარცხენა ნაპირით არტილერიის დრო გამოშვებით სროლა სწარმოებდა. ვოგეზში გერმანელები მოულოდნელად დაეცნენ და დაიპყრეს ჩვენი თხრილების რამდენიმე ნაწილი კარსპახის დასავლეთით, მაგრამ უმალ კონტრ-იერიშებით უკან წავართვით თხრილები.

**პარიზი.** 24 მაისი. ოფიციალური ცნობა დღისით. მაასის მარჯვენა ნაპირით გერმანელებმა ღამის განმავლობაში ორჯელ იერიში მოიტანეს ჩვენი პოზიციების წინაღმდეგ ვო-სა და დანლუს შუა, მაგრამ ორივეჯერ უნაყოფოდ ჩაიარა. ფორტ ვო-სთან მდგომარეობა არ შეცვლილა. გერმანელები კვლავ მკაცრად უშენენ ამ ფორტს.

**ლონდონი.** 23 მაისი ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა საფრანგეთიდან. იპრთან მდგომარეობა არ შეცვლილა. ჩვენ ვიცავთ იმ ადგილებს, რომელნიც გუშინ კონტრიერიშებით დავიბრუნეთ.

### ბალკანეთში.

**ბუქურეშტი.** 22 მაისი. სოფიიდან იუწყებიან: მაკენზენი ვალანდოვის წავიდა, სადაც შეგროვილია გერმანელების და ბულგარელების ჯარი, რომელსაც სარდლობს გენერალი ჰალვიცი, რომლის საბრძოლველ რაიონში გევგელი და მონასტირი შედიან. გენერალ კუტინჩევის ჯარის შტაბი, რომელიც ბულგარეთის ჩრდილოეთ საზღვართან იმყოფებოდა, ეხლა ნიშში გადმოიყვანეს.

### იუანშიკაის გარდაცვალება.

**პეკინი.** 24 მაისი. დღეს გარდაიცვალა ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იუანშიკაი, მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ვიცე-პრეზიდენტი ლიუანხუნი პრემიერ მინისტრად რჩება დუანბიფუ. ქალაქში სიწყნარეა.

### საბერძნეთში.

**ათინა.** 23 მაისი. მთავრობა იმავე პოლიტიკას აწარმოებს მომავალში, როგორსაც აქამდის აწარმოებდა, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ასეთი პოლიტიკა მომენტის შესაფერია.

გუშინ მომხდარ მინისტრების თათბირის და სკულიდისის და დუსმანისის მეფესთან მოლაპარაკების შემდეგ გადასწყდა, რომ საბერძნეთი თავის ჯარს მაკედონიიდან არ გამოიყვანს:

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

რიგის ფრონტზე რუსთა მძიმე არტილერიამ მტრის მოქმედებას ხელი შეუშალა. მთელ ფრონტზე გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა მახლობელი სოფლები სულ გადაბუგულია.

— —

დიდი შეტაკება მოხდა ფრიდრიჰშტადტთან. აქ ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა, ორივე მოპირდაპირე მხარე საგრძნობლად დაზარალდა.

— —

კურლანდიის გუბერნიებში გერმანელებს შემოუღიათ სავალდებულო სწავლება. ამ მიზნით მათ დაუხსნიათ ყოველ ქალაქ სოფელში პირველდაწყებითი სკოლები, სადაც 14 წლამდე ორივე სქესის ბავშვებს ასწავლიან.

— —

ვილჰელმს უთქვამს სტოკჰოლმელ კორესპონდენტისთვის; მიუხედავათ იმისა რომ ომის წარმოება გრმანიას 5 წლის განმავლობაში კიდევ შეუძლია, იგი მაინც კაცთმოყვარეობას იჩენს და სამშვიდობო მოძრაობას ყველგან მხარს უჭერსო.

— —

ბუქარესტელ „ადერვილი“-ს კორესპონდენტს ენვერ ფაშასთან უსაუბრნია. ენვერს, სხვათა შორის, უთქვამს: ჩვენი მთავარი ყურადღება ახლა მცირე აზიისაკენ არის მოქცეული, რაც დღემდის დაგვიკარგავს და დაგვითმია, ის სულ სხვა იყო, რადგან თვალუწვდენელი მამულები კიდევ ბევრი გვეგულებოდა მცირე აზიაში. დღეს კი, როდესაც მტერი ამ მცირე აზიის მამულებსაც ემუქრება, მოვალეობა მოითხოვს ყველა ჭეშმარიტმა ოსმალომ აზიის ასპარეზს დიდი ყურადღება მიაქციოს და მის შესანარჩუნებლად თავდადებულად იბრძოლოსო.

— —

სმირნაში 60 ვაგონი ხორბალი გაგზავნეს 11 ვაგ. ხორბალი რუმინიიდან არის მოზიდული.

— —

სალონიკთან მდგომ თავის ჯარს ოსმალეთი აზიის ასპარეზზე უპირებს გადაყვანას, იმ შემთხვევაში, თუ გერმანია-ბულგარეთისაგან ამის თანხმობა მიიღო.

— —

ერძინჯანის მიმართულებით ბრძოლა თანდათან მკაცრ ხასიათს იღებს.

— —

მოლოდეჩნოსთან მცირე შეტაკებები ხდება. ეს მიდამო მიუვალ პოზიციას დაემსგავსა. ორივე მოპირდაპირე მხარე დიდ მზადებაშია. გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ მზვერავთა რაზმს, უკანასკნელ ბრძოლის დროს მათ მხოლოდ მზვერავები გამოუშვეს.

— —

მინსკის გუბერნიაში გერმანელებმა აკრძალეს ყველა იმ ადგილის დათესვა, სადაც ბრძოლაა მოსალოდნელი. დანარჩენ ადგილებში კი დიდათ ხელს უწყობენ მიწების დათესვას, მცხოვრებთ სათესლეს და სამუშაო იარაღს აწვდიან იმ პირობით, რომ მოწევის დროს $^3/_4$ მოსავლისა გერმანიას უნდა გადაეცეს.

— —

გამოჩენილი გერმანელი სოციალდემოკრატი ლიბკნეხტი კვლავ დატუსაღებულია. მთავრობას მისთვის 10 წლის კატორღა მიუსჯია. გერმანიის რეიხსტაგს ოქტომბრამდე არ მოიწვევენ.

— —

გერმანიის იმპერიის კანცლერმა სახელმწიფოს ყველა ჩრდილოეთი ნაწილი დაიარა. როგორც „ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს, კანცლერი კმაყოფილი ყოფილა მგზავრობითა და ხალხის სულიერი განწყობილებით.

— —

ბულგარეთმა წინადადებით მიმართა რუმინიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მათ შორისაც დიდებული იყოს ისეთი

# ომის დღიური.

— —

საზღვაო ბრძოლა გრძელდება. შოტლანდიის ჩრდილოეთით გერმანელებმა დაღუპეს ინგლისის დიდი გემი „ჰერმპშაირი“, რომელზედაც იყო თავის შტაბით ინგლისის სამხედრო მინისტრი ლორდი კიტჩენერი.

**ვერდენის ასპარეზზე** ბრძოლა ისევ ფორტ ვოს გარშემო სწარმოებს.

**რუსეთის ასპარეზზე** ავსტრიის მხრით შეტაკებები გრძელდება. გამარჯვება ჯერჯერობით რუსეთის მხარეზეა.

**კავკასიის ასპარეზზე** ბაიბურთ-მოსულის და ერძინჯანის მიმართულებით რუსებმა იერიშით მომავალი მოპირდაპირე მოიგერიეს

**ბელგიის ასპარეზზე** მდგომარეობა იგივეა.

**ინგლისის ასპარეზზე** ბრძოლა მიყუჩდა

სავაჭრო ხელშეკრულება, როგორიც დაიდვა ამას წინად ოსმალეთ-რუმინიისა და გერმანია-რუმინიის შორის. როგორც იტყობინებიან, ჯერ ჯერობით ეს წინადადება რუმინიის გარეშე საქმეთა სამინისტროს არ მიუღია.

— —

ირლანდიას ინგლისის მთავრობამ უკვე მიანიჭა ავტონომიური უფლებანი.

— —

„ბირჟ. ვედ“. კორესპონდენტი ესაუბრა ნორტკლიფს. ლორდ ნორტკლიფს უთქვამს: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოკავშირენი ბევრად განვირჩევით ერთმანეთისგან, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენა გვაქვს ერთი საერთო იდეა: გერმანიის დამხობა, მათი მილიტარიზმის განადგურება და სავაჭრო ჰეგემონიის თავიდან მოშორება. თუ გერმანიის ძლიერება არ გავანადგურეთო, უთქვამს ლორდ ნორტკლიფს, ისე ყველას ჩვენთაგან დამონავება მოელისო.

— —

იაპონიის მთავრობას განუზრახავს, თუ ჩინეთში რევოლიუცია გაგრძელდა, თავის ინტერესები იარაღით დაიცვას. „დეილი ტელეგრაფ“ ს ატყობინებენ: ანატოლიაში მომქმედ ოსმალთა ჯარს სტამბოლიდან გერმანიის დიდძალი ჯარი მიშველებია, ამ დღეებში იქითვე გზავნიან ბულგარეთის ერთ დივიზიას.

— —

18 მაისს მომხდარ საზღვაო ბრძოლას ინგლისის პრესა მეტად გულგრილად შეხვდა და აღნიშნა, რომ ინგლისის ფლოტს ასე მიხტომითი შეტაკებებით გერმანიის ფლოტი ვერაფერს დააკლებსო.

— —

ვერდენის ბრძოლის შესახებ ფრანგული გაზეთები სწერენ: დაუფასებელია სიმამაცე და თავდადება ფრანგთა ჯარისა. მათი ღვაწლი ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწერგოს. აი, მეოთხე თვეა, რაც გამძვინვარებული მტერი გამხეცებით ებრძვის ჩვენს ჯარს, მაგრამ იგი კი ოდნავაც არა დრკება და იმედი აქვს, რომ საბოლოოდ გამარჯვება მას დარჩება.

— —

## სამხედრო მიმოხილვა

როგორც წინად აღვნიშნეთ, გერმანეთის მთავარ შტაბს, ადრევე გათვალისწინებული ჰქონდა ოსმალთა უკად დახევა კავკასიის საზღვრებიდან და შესაფერი გეგმაც შეიმუშავა დათმობილი ტერიტორიის დასაბრუნებლად შემდეგში. ამიტომ ოსმალნი მუდამ სცდილობდნენ, ოღონდ ნაკლები ზარალი კი მოსვლოდათ და თუნდა მთელი მცირე აზია დაეთმოთ, ვინაიდგან დაკარგული ტერიტორიის ცოცხალი ძალის საშუალებით დაბრუნება შეიძლება, ხოლო უჯაროდ ტერიტორიის შერჩენა კი მოუფიქრებელია. რომ სწორედ ამ მოსაზრებით ხემძღვანელობდნენ ოსმალნი ამას სხვათა შორის მოწმობს არზრუმის დაცემის ამბები. ეს ციხე პერემიშლზე უკეთესად თუ არა, ნაკლებად არ იყო გამაგრებული, მაგრამ ციხის აღებისას ოსმალებმა რუსებს მხოლოდ ათიათასი ჯარი და ცოტაოდენი ზარბაზანი ჩაუგდეს ხელში.

ოსმალებმა მესოპოტამიასა და მცირე აზიის შუაგულ ვილაითებისაკენ დაიხიეს და გამაგრდენ. რადგანაც მარტო გამაგრებით არ შეიძლება მტრის შეტევის შეჩერება, დაიწყეს მედგარი საპასუხო იერიშები. ამ იერიშებით ოსმალნი ლამობენ დასუსტებას რუსებისას, რომლთაც ზურგს უკან უგზოობა და ბუნების სიმწირე ამ სიცხე-პაპანებაში, ოსმალთა წარმოდგენით, საქმეს გაუჭირვებდა და იერიშებს შესაფერ ნაყოფს გამოაღებინებდა.

რაც შეეხება მთავარ შეტევას, რასაც ბევრი ეხლავე ელის, ჯერ ეგრე მალე არ იქნება წარმოებული ეს იქნებოდა გერმანეთის სტრატეგიის წინააღმდეგი; გერმანულ მთავარ შტაბს აქვს ერთი გეგმა დაკარგულ ტერიტორიის დასაბრუნებლად, რომლითაც ის მუდამ ხელმძღვანელობდა მცირედი შეცვლით.

გერმანელები დაკარგავენ რა ტერიტორიას, მაშინვე კი არ ცდილობენ მის დაბრუნებას, არამედ უცდიან დროს, როდესაც შეძლება ექნებათ ამისათვის საჭირო ძალის მოკრებისა, როდესაც მოწინააღმდეგე დაარხეინდება და ზურგს უკან ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს. რა უპირატესობა აქვს ამ გეგმას? როდესაც დაარხეინებულ მოწინააღმდეგეს უტევს მოულოდნელად, მტრის ზურგს უკან უდიდეს უწესრიგობას ახდენს, რაც პირდაპირ დამღუპველად მოქმედებს ბრძოლის მსვლელობაზე დახეულ მხარესათვის. ამას გარდა მოულოდნელი შესევა ნორმალურ პირობებში მყოფ ტერიტორიაში შემტევს მეტს დავლას ანიჭებს, ვინაიდან უკან დახევი ვერ ასწრობს ვერაფრის გატანას.

ამ გეგმით ხელმძღვანელობდენ გერმანელები სამჯერ აღმოსავლეთ პრუსიაში და შარშან გალიციაში. ამავე გეგმის განხორციელებას ფიქრობენ გერმანელ-ოსმალნი მცირე აზიაშიაც მხოლოდ ამას მალე ვერა სცდიან, რადგანაც საამისო დრო და გარემოება, მათის აზრით, ჯერ არ დამდგარა. მოვიცადოთ და ვნახოთ რას შესძლებენ ნაოტი ოსმალნი.

შვერელი.

# ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**ნიკო ნიკოლაძის საქმე.** გუშინ, ქუთაისში თბილისის სამოსამართლო პალატამ დაიწყო ჩვენი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის საქმის გარჩევა. პალატის შემადგენლობა: თავჯდომარე ა. მ. პლავსკი, წევრები: პ. ფ. მაიგურკი და ა. ბ. ტყერკოვსკი; ბრალმდებელი: ე. ფ. ლებედინსკი. ნიკოლაძის ვექილი კარაბჩევსკი გუშინ არ გამოცხადებულა და დღეისთვის მოელიან. დაესწრო მხოლოდ მისი თანაშემწე ვექილი ბ-ნი კულიშერი. სხდომის დაწყებისას ბრალმდებელმა განუცხადა სასამართლოს, რომ ზოგიერთი მოწმის დაუსწრებლობის გამო საქმის გარჩევა გადაედვათ. წინააღმდეგი სიტყვა წარმოსთქვა დამცველმა.

სასამართლომ უყურადღებოთ დასტოვა ბრალმდებლის განცხადება, რადგანაც იმ მოწმეებს, რომლებიც არ გამოცხადდენ საქმისთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდათ. მხოლოდ დაადგინეს თუ მოვლენ, დაუშვან მოწმეებათ. დაესწრო ყველა რედაქციის წარმომადგენელი და ბევრი საზოგადოება. საქმე რამდენიმე დღეს გასტანს.

✦ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, თანახმათ თბილისის საფოსტო ოლქის ცირკულიარისა, სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს ქალაქის ტელეფონის 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა.

✦ რაჭის მაზრის უფროსი ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ გუშინწინ დარაჯებმა დაატუსაღეს ყაჩაღთა ბრბო, დაჰრილია ყაჩაღი ივანე ბაქრაძე.

✦ ს. კელას (ოზურ. მაზ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „მოლოდინი“.

✦ მსახიობი ბ-ნი ვ. გუნია თბილისიდან უკვე ჩამოვიდა. მას მინდობილი აქვს მოაწყოს ჩვენი გამოჩენილი დრამატურგის სუმბათაშვილის (იუჟინი) გასტროლები მოაწყოს.

✦ ოთხშაბათს, 25 მაისს, ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა საზ. „სინათლის“ სასარგებლოთ. კარგი ამინდის გამო საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

✦ ხუთშაბათს 2 თიბათვეს ქუთაისის ქალაქის თეატრში ჩვენი ნიჭიერი თანამემამულე თ დი ა. სუმბათაშვილი იუჟინი გამართავს ფრიად საინტერესო საღამო მეჯლისს. წაიკითხავს ლექციას თეატრის მნიშვნელობაზე და აგრეთვე ღალატიდან ზოგიერთ სცენებს, ოტელოს მონოლოგს „სენატის წინაშე“ შექსპირიდან, ოსტროვსკის ისტორიულ ქრონიკიდან ცრუ დიმიტრი და ვასილ შუისკი, მაიკოვის პოემა და კლერმონის ტაძარი. ბილეთები დღეიდანვ იყიდება თეატრის კასაში.

# ბანკის რწმუნებულთა საყურადღებოთ.

დასასრული იხილ „სამშობლო“ № 364.

ჩვენ საზოგადო ინტერესს ის კი არ შეადგენს, ბატონებო, რომელიმე მემამულემ ბანკის გირაოთი ბევრი ფული აიღოს — და თან ბანკიც მოტყუვდეს და ზარალში ჩავარდეს. ჩვენი სურვილია, ეს ჩვენი მიწა წყალი ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი მადნეულობა ჩვენს ხელში, ჩვენის ბანკის სასარგებლოთ დარჩეს. ამრიგათ ჩვენ ავიშორებთ თავიდან უცხო ელემენტების შემოსევას და მამულიც ჩვენს ხელში დარჩება.

ჩვენი ბანკისა დ შავიქვის მწარმოებელთა მართველობებს რომ თავიდან მიეღოთ ყოველგვარი ზომა, საზოგადოებისა და მთავრობის დახმარებით, ეს ჩვენი მარგანეციანი ადგილები ბანკს შეეკრიბა ისე, როგორც უცხოელებმა ჩვენგან მეოცედ ფასად შეიყიდეს, ეს სიმდიდრე ისევ ჩვენ და ჩვენს ქვეყანას მოგვხმარდებოდა და თვით ბანკსაც დიდათ გააძლიერებდა. მაგრამ ვინც ჩვენში გავლენიანი პირები არიან, ან ვისაც ამ საქმის პირდაპირი მზრუნველობა აწევს კისერზე, შრომა არ მიიღეს, არც რაიმე იფიქრეს და საქმე ისევ უნუგეშო მდგომარეობაშია. მე და კაკაბაძემ ბევრიც მოვიწადინეთ ამ კრებაზე, მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვით, საკითხი მიფუჩეჩდა და არა გამოვიდარა. დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს საქმის გარემოება ყველას დაარწმუნებს, რომ ჩვენ მართლები ვიყავით, მაგრამ [illegible] იქნება თითებზე კბენანი. ეს საკითხი იმდენათ სასარგებლოთ მიმაჩნია, რომ კვლავ უნდა გავიმეორო: [illegible] ნებულთა კრება, რომ მარგანეციან ადგილების დაგირავებ[illegible] ბანკს შეეძლო თავის ხელში მოექცია ჭიათურის მარგანეციანი ადგილები, დაეარსებია ერთი სავაჭრო სახლი, შავიქვის ფასიც, თავის სურვილისამებრ, შესაფერისი გამოეცხადებია. ამით კი, ყველა ისარგებლებდა, როგორც მემამულე, ისე მუშა და მთელი გუბერნიის მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა. რადგან ამ ზღვა სიმდიდრით განა ცოტა რამ საქვეყნო, საერო საქმე გაკეთდებოდა!

მაგრამ, თუკი ჩვენ ჩვენს თავს წინააღუდგებით, ჩვენთვის კარგი საქმის გაკეთებას არ ვისურვებთ, მაშინ რა ქნან ან იმ პატივცემულმა პირებმა, რომლებიც გაკვირვებით შემოგვჩერებოდენ და ფიქრობდენ, უთუოდ იმ საიდუმლოების ახსნას, თუ რატომ გვინდოდა ერთ მხარეს ჩვენ ჭიათურის რაიონის მცხოვრებ მემამულეთ და მრეწველთ, რომ ჩვენი მამულები. ბანკის ხელში შესულიყო, და მეორე მხარე კი წინააღმდეგი გახდა ამ მოსაზრებისა.

მე მგონია, საკმაოთ დავასაბუთე ჩემი აზრი. ჩემი გულწრფელი სურვილი იყო მხოლოდ ჩვენი სიმდიდრე ჩვენს საადგილმამულო ბანკის ხელში დარჩენილიყო და ორნაირი სარგებლობა მოეტანა როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის. და თუ ეს საკითხი ბანკის რწმუნებულთა კრებამ ამ საუკეთესო მომენტის დროს ჯეროვანად ვერ გადასჭრა, კვლავ მაინც ვიყოთ მომზადებული, ყოველივე მხარე საკითხისა კარგათ გავითვალისწინოთ და შემდეგ ისე გადავსდგათ ესა თუ ის ნაბიჯი.

ამას მოითხოვს ჩვენგან არა მარტო მარგანეცის საქმე, არამედ სხვა ბევრი მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ხშირად ჩვენი დაუკვირველობის გამო ცუდ გადაწყვეტილებას ღებულობს ჩვენდა საზარალოდ.

ვლად. წერეთელი.

## ახალი ომის წინ.

ვინც უკანასკნელ თვის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა ჟურნალ-გაზეთებს, ის დარწმუნდებოდა, რომ ასე თუ ისე ომს მანცა და-მაინც დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია. ეხლა ზავზე ისე ლაპარაკობენ როგორც რეალ, ადვილად შესაძლებელ რამეზე და ეხლავ შეუდგენ სახელმწიფოები იმ საკითხების გამორკვევას, რომლებიც დაკავშირებულია ზავის ჩამოგდებასთან. ყველა ემზადება და ირაზმება, რათა ღირსეულად შეხვდეს იმ დღეს, როდესაც კვლავ შეეძლება მუშაობის განგრძობა ნორ-

---

## რაბინდრანათ— თაგორადან.

იხ. „სამ“. № 364).

კარი-კარს დავიარებოდი, სოფლიდან-სოფლათ და მოწყალებას ვითხოვდი, ოდეს საოცნებო სიზმარივით გამოჩნდა შენი ეტლი, მეფეთ-მეფეო!

გულს იმედმა გამიღვიძა და მეგონა, რომ ბოლო ელებოდა ჩემ უბედურ დღეთ, ვიდექ და ველოდი მოწყალებას, რომელ არ მითხოვია, საუნჯეთ, რომელთ უხვათ მოფენ ჩემს გარემო

ჩემს ახლოს შეაჩერე ეტლი. თვალი თვალში გამიყარე, გადმობრძანდი ეტლიდან და ღიმილით გამოსწიე ჩემსკენ. ვგრძნობდი, რომ ვეწიე ჩემი სიცოცხლის ბედის ვარსკვლავს, მხოლოდ უცებ გამომიწოდე მარჯვენა და მომმართე:

„რას მიწყალობებ?“

ვიშ, რა მეფური ხელგამოწვდა იყო, —გამომიწვიე მუჭი და უმწეო ქალს მთხოვდი მოწყალებას! შევკრთი და არ ვიცოდი, რა მექნა, შემდეგ ჩანთიდან ამოვიღე პაწაწა მარცვალი და გიწყალობე.

საზღვარი არ ქონდა ჩემ განცვიფრებას, ოდეს საღამოს გამოვბერტყე ჩანთა და იქიდან ოქროს პატარა მარცვალი გადმოვარდი.

*
* *

ღამის ბინდი გადაეკრა მთელ სოფელს. ჩვენ დღიურ სამუშაოსაც მოეღო ბოლო. სახლის კარები ჩავკეტე იმ აზრით, რომ უკანასკნელი მგზავრიც ეწია თავის სავანეს. მაგრამ ვიღაცამ გვიკარნახა:

„კვლავად გეახლებათ მეფე,“

სიცილ-კისკისით მივუგეთ:

„არა, ეს შეუძლებელია.“

კარებზე კაკუნი მოგვესმა და ჩვენ კი ქარი გვეგონა. ჭრაქები ჩავაქრეთ და ძილს ვაპირებდით. გვიხმო უცნობმა:

„ეს მახარობელი იყო“.

ჩვენ კი სიცილ-კისკისით ვუპასუხეთ:

„არა, ქარი იყო!“

შუაღამეზე რაღაც ხმაურობა მოგვესმა. ძილით გაბრუებულთ, ქუხილი გვეგონა. მიწამ ზანზარი შექნა. კედლები შეიძრა და გამოვერკვიეთ. ერთმა ჩვენგანმა სთქვა რომ ეტლის ხმა იყოვო. ნამძინარევმა მივუგეთ:

„არა, ქუხილი იყო!“

ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ დაფსა და ნაღარას დაჰკრეს. გაისმა მოწოდება:

„ნუ აგვიანებთ აღსდექით!“

გულზე ხელდაჰკრეული, შიშმა მოგვიცვა. გაისმა ხმა:

„შეხედეთ, მეფის ალამი მოსჩანს!“

წამსვე ავდექით:

„ნუღარ ვაყოვნებთ!“

„მეფე მობრძანდა, ხოლო რა გვექნა ლამპრები, გაჩირაღდნებული კანდლები, დაფნის გვირგვინი? სად არის ტახტი მისთვის განმზადებული? ვაი, სირცხვილო! ვაი თავის მოჭრავ! რატომ არაა მოწყობილი სასახლე, სადაა სამკაულები?

კვალად მოგვესმა ხმა:

„ამაოთ აფრქვევთ ცრემლს' ხელცარიელი მიესალმეთ და მიიწვიეთ ღარიბულ ქოხში!„

გააღეთ ბჭენი სახლისა, დაუკარით საყვირი! შუაღამისას გვესტუმრა ჩვენი ბნელით და წყვდიადით მოცული სავანის მეფე! სჭექს და ქუხს. ელვა სიმშვიდეს უკარგავს სიბნელეს, ლაფნის ჭილოფის ნაგლეჯი დავგოგე ეზოში! გრიგალთან ერთად მოულოდნელათ გვესტუმრა საშინელი ღამის მეუფე.

*
* *

ყვავილთა გვირგვინის თხოვა მსურდა რომელ შენ გულმკერდს ამშვენებდა, მხოლოდ ვერ შემოგბედე და ველოდი განთიადს, ველოდი შენს წასვლას, რომ მომეკრიბა გვირგვინის მონარჩენი შენს სარეცელზე. ვეძიებდი რიჟრაჟზე, ვით მათხოვარი, ხოლო არ მორჩენილიყო არც ერთი ფოთოლი.

და მერე რა ვნახე? რაღა დამრჩა შენი სიყვარულიდან? არც ყვავილი, არც კეთილსურნელება და არც ჭურჭელი კეთილსურნელებისა. დამიტოვე მხოლოდ მოელვარე უძლევი მახვილი, მძიმე, ვით მეხი. განთიადის ქალწული სხივი დაქათქათებს ჩემ სარეცელს. „მგოსანი“ კი სტვენს, მეკითხება:

„დედაკაცო, რაღა დაგრჩა შენ?“

ვაი მე, არც ყვავილი, არც სურნელება, არც ჭურჭელი სურნელებისა: მახვილი შენი საშინელი.

განცვიფრებას ვეძლევი, რათ მინდა წყალობა ესე? სად შევინახო? ადგილი ვერ მომიძებნია, ვერ ვზიდავ სუსტი, გულში ჩავიკრავ და გულს მიკოდავს. და მაინც ვამაყობ ამ შენი წყალობით-წამების ულით.

შიში და ძრწოლა არ მიეკარებიან ამიერიდან ამ ქვეყნათ ჩემ გულს-თითოეულ ვისთანმე ბრძოლაში შენ იქნები გამარჯვებული. შენ მომეცი თანამგზავრათ სიკვდილი, რომელს დავაგვირგვინებ ჩემი სიცოცხლით. ჩემთან არს შენი მახვილი, მას შეუძლია შემუსროს ჩემი ხუნდები და არა ვგრძნობ შიშს ამ ქვეყნათ.

მოვიხსნი ამიერიდან ყველა სამკაულებს. ჩემი გულის მეუფეო, აღარა ვარ ისეთი მორცხვი, ნაზი ქალწული, არ გელოდები, აღარ დავაფრქვევ ცრემლთა მახვილი მიწყალობე—აღარ მჭირია სამკაულები.

*
* *

თვალწარმტაცია ძვირფასი თვალებით მოჭედილი შენი სამაჯური და მხატვრული ფერადებითაა შეხამებული. ხოლო უმშვენიერესია შენი მახვილი, მისი მოელვარე პირი, რომელიც სამოთხის ფრინველის — ვიშნას — გაშლილ ფრთას ემსგავსება და რომელსაც დილის სხივები ელერსებიან.

თრთის იგი, ვით სიცოცხლის უკანასკნელი სხივი, ელვარებს, — ვით მყობადის წმინდა ალი, რომელიც მთლიანათა ნთქავს ამ ქვეყნიურ, ძლიერ ამაო აფეთქებას.

უძვირფასესია შენი სამაჯური მისი ფერადი თვალ-მარგალიტით; ხოლო მახვილი შენი, ელვა-ქუხილის მბრძანებელო, დაჯილდოებულია ისეთი თვალწარმტაცი მშვენებით და ბრწყინვალებით, რომ არ შემწევს ძალი თვალი გავუშტერო და ვიფიქრო მაზე.

არა მითხოვია-რა; ჩემი სახელიც არ მითქვამს შენთვის. ვიდექ მდუმარე, ოდეს მშორდებოდი.

წყაროსთან ვიდექ, ხის ჩრდილოში და სავსე კოკებით სახლში ბრუნდებოდნენ ქალწულნი.

მიხმობდენ იგინი „შუადღე მოახლოვდა უკვე, წამოდი ჩვენთან“. მწარე ფიქრებში გართული, მე მაინც ვიდექ და გელოდი.

არ მიგრძვნია, როგორ მომიახლოვდი. ჭმუნვას მოეცვა შენი სახე, დაქანცული იყო შენი ხმა, ოდეს გამომეხმაურე:

„მგზავრი ვარ, ვიხჩობი წყურვილით“. სწრაფ გამოვერკვიე და გასვი წყალი ჩემი საწყაულიდან. ჩვენ ზევით ხის ფოთოლნი შრიალებდენ; გუგული მაინც იძახოდა შორს, ჭალაკში, ყვავილნართა საამო სურნელება მაინც ეფინებოდა არე-მარეს.

ოდეს სახელი მკითხე, სირცხვილით ხმას ვერ ვიღებდი. მართლა, —ისეთი რა ვიმოქმედე, რომ ვერ დამივიწყე? ხოლო მოგონება, რომ წყალი გასვი და მოიკალ წყურვილი, იცოცხლებს ჩემს გულში და სინაზით აავსებს, მას მოახლოვებულია შუადღე, ფრინველთა ხმაშიც დაქანცულობა ისმის, ფოთოლნი შრიალებენ ჩემ ზევით, მე კი ვზივარ და ფიქრებს მივცემივარ, მივცემივარ ფიქრებს.

*
* *

დაქანცულა შენი გული, წამწამებს უძილობა ემჩნევათ.

ნუ თუ შენამდე ჯერ არ მოუღწევია იმ ამბავს, რომ ეკალ-ნართა შორის მეფურ სხივს აფრქვევს ყვავილი? გაიღვიძე, გაიღვიძე! ნუ კარგავ დროს!

მოკენჭილი ბილიკის, ბოლოს, ქალწულებრივი სიჩუმის ქვეყანაში, მარტოთ-მარტო ზის ჩემი მეგობარი. ნუ აცდუნებ. გაიღვიძე, გაიღვიძე!

რა იქნება, რომ ცა შეძრწუნდეს შუადღის პაპანაქებით? რა იქნება, რომ გახურებულმა სილამ გაშალოს წყურვილის მოსასხამი?

ნუ თუ შენი სულის სიღრმეში არ მოიძებნება სიხარულის ნაპერწკალი ნუ თუ მოგზაურის ქნარი არ ახმაურდება თითოეულ შენს ნაბიჯთან წამების ტკბილი მუსიკით?

* *
*

აი, რა დიადია ჩემში შენი შვება-სიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალურ პირობებში. რა ხასიათი აქვს ამ მზადებას?

თანამედროვე ომი, მართლაც და „ავადმყოფ" ვილჰელმის ფანტაზიასთან კი არ არის დაკავშირებული,—არამედ მისი აუცილებლობა გამომდინარეობდა ეკონომიურ პირობებიდან. ომი ეხლა სწყვეტს უდიდეს საეკონომიო კითხვებს და ზოგს სახელმწიფოს სრულ განადგურებასაც კი უქადის ამ სფეროში.

ყველა, გათვალისწინებული აქვს რა ეს, ღებულობს ზომებს ვაჭრობა მრეწველობის უკეთეს დონეზე დასაყენებლად. ყოველი სახელმწიფო სცდილობს საჭირო საქონელი თვითონვე დაიმუშაოს, რათა ფული აღარ გავიდეს გარედ და ერის წარმატებას მოხმარდეს, პირიქით, სცდილობს იმდენი საქონელი დაიმუშაოს, რომ თვითონვე გაიტანოს საერთაშორისო ბაზარზე.

ერთის სიტყვით, მომავალი ეკონომიური ბრძოლა სიძლიერით აღემატება ამ მილიონიან ჯარების შეხლა-შემოხლას და მსხვერპლიც არა ნაკლები იქნება. ვაი იმ ხალხის ბრალი, რომელიც ვერ გაუძლებს ამ ბრძოლას.

რა მდგომარეობაში ვიქნებით კერძოდ ჩვენ ქართველები?

დღემდე თუ ჩვენ განვიცდიდით ეკონომიურ შევიწროებას მხოლოდ სომხების მხრით, ომის შემდეგ გაცილებით გამწვავდება ჩვენი მდგომარეობა მით, რომ გაღვიძებული რუსი მრეწველნი მოედებიან ჩვენს მხარეს, გვესტუმრებიან უფრო მეტის მცოდნე და მეტის მქონე უცხოელი ვაჭრები და კაპიტალისტები, რომელნიც ეკონომიურად წაგვახჩობენ, მთლად დაგვასუსტებენ მით უმეტეს ეს მართალია, რომ რუსეთის მთავრობა პირდაპირ იწვევს ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, შვეციის და ამერიკის ვაჭრებსა და მრეწველებს გააუმჯობესონ რუსეთთან ეკონომიური დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში ჩვენ გავხდებით მხოლოდ მყიდველები, რომელთა ფულიც გაამდიდრებს და გააბედნიერებს უცხო ერებს. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ გაალმასებული გერმანეთი ჰლამობს კრიჭა მოუჭრას საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე უკეთესს პირობების მომლოდინე მოკავშირეებს და არც არას დაიშურებს მიზნის მისაღწევათ. ეს შეხლა-შემოხლა დ შეჯიბრება ჩვენც უნდა დაგვატყდეს თავზე დ, უეჭველია, გავისრისებით და გავნადგურდებით ეკონომიურად, თუ დროზე ზომები არ მივიღეთ

დღესვე უნდა შევუდგეთ ჩვენც მომავალი ეკონომიური ბრძოლისათვის მომზადებას.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს მომზადება?

დღესვე უნდა ვეცადოთ ხელიდან არ გავუშვათ და შევიძინოთ ის მამულები და მადნები, რომელიც ასე თუ ისე უცხო მწარმოებელთა ხელში უნდა გადავიდეს, ვინაიდან უცხო მწარმოებელს ძალუძს მეტი შეაძლიოს; უნდა ხელში ჩავიგდოთ სხვადასხვა კონცესია; საჭიროა ჩვენი ყურადღება მივაქციოთ დამამუშავებელ მრეწველობას. დღეს ჩვენ არც ერთი ქარხანა არ მოგვეპოვება, რომელიც საყოველდღეო საჭირო საგნებს ამუშავებდეს.

ასეთი ქარხნები რომ დავაარსოთ, არათუ ყიდვა არ დაგვჭირდება უცხოთაგან, არამედ ჩვენ გავიტანდით საქონელს სპარსეთში, ჩრდილო კავკასიაში და თურქესტანში, როგორც დღეს ღვინო და ხილი გაგვაქვს.

საჭიროა დროზე დავაარსოთ საამხანაგო ნერო საზოგადოებანი, რადგანაც ამ გვარ კავშირებს უფრო ეხერხებათ საქმე, ვიდრე კერძო პირთ.

საჭიროა გავხსნათ ჩვენვე საშუამავლო კანტორები.

საჭიროა ავსწიოთ პურის, ყურძნის, სიმინდის, თამბაქოსი და სხვა ჰირნახულთა კულტურა, რათა ნაკლებ ვიქნეთ დამოკიდებულნი სხვისგან.

კატონ კობახიძე.

# კ რ ე ბ ა,

ქუთაისის მიწადის სათავად-აზნაურო, საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა.

**25 მ ა ი ს ი.**

კრება იწყება $12^1/_2$ საათზე, პ მოსიძის თავმჯდომარეობით.

კითხულობენ ქარ. შ. წ.-კ გამ. საზ. გამგეობის, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების და აკაკის ანდერძის აღმასრულებელთა თხოვნებს უკანასკნელი შეეხება აკაკის სახლის განთავისუფლებას ვალისაგან.

კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ ამჟამათ გადასახდელი 580 მ. მოიხსნას.

საკითხს ყუთი დაედგმის.

იხილვენ ვ. დ. ლ. ლორთქიფანიძის თხოვნას, რომ მოიხსნას მასზე გადასახადი ვალი, ასეთივე თხოვნა არის ფ. გ. მიქელაძის მეუღლისა თხოვნა და კიკიანისა.

ირჩევა პ. ჩხეიძის თხოვნა.

პ. ჩხეიძე სთხოვს კრებას—დააფასოს მისი 22 წლის სამსახური და გაანთავისუფლოს მისი ადგილი ვალისაგან. განცხადების შემდეგ ჩხეიძე დარბაზს სტოვებს, რომ ყველას საშუალება მიეცეს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრი.

თ-დი დ. ო. ნიჟარაძე და დ. ჩიკვაიძე გამოსთქვამენ სურვილს მოეხსნას ვალი მის მამულს.

ს. ე. წერეთელი: ბ-ბო. ჩვენ ძალიან გულუხვათ ვარიგებთ ფულებს და მე ვერ წარმომიდგენია, რომელ დაწესებულებას მივსცემთ დახმარებას.

ასეთ, თხოვნით ყველა მოგვმართავს და მე მგონია ასეთი გულუხვობა ავნებს ჩვენს ბანკსაო.

გ. გველესიანი—ჩვენ თუ ასე კერძო პირებს დავეხმარეთ, მაშინ ბანკი დაიღუპება.

ბ ნი ქავთარაძე—მე არ მეგონა, თუ ჩვენი ბანკი ასე კერძო პირებს გაუწევდა დახმარებას, რაც არსად არ ხდება და, თუ რწმუნებულები მათ დახმარებას აღმოუჩენენ, ჩემის აზრით, უპირატესობა უნდა მიეცეს კ. ლორთქიფანიძის თხოვნას.

გ. ლასხიშვილი—ბ-ბო, როგორ შეიძლება აქ რაიმე დამსახურებაზე იქნეს ლაპარაკი, მაშინ როდესაც თბილისის ბანკმა უარი უთხრა მთელი ვალის მოხსნაზე ილია ჭავჭავაძის მამულს. დამეთანხმებით, რომ ისეთი მოღვაწეობა, როგორიც ილიას მიუძღოდა თბილისის ბანკის წინაშე, ასეთი ამაგი არც ერთს არ მიუძღვის და, ჩემის აზრით, ასეთ გზას ჩვენი ბანკი არ უნდა დაადგეს. (ტაშის ცემა).

ა. კრინიცკი—ბ-ბო, ასეთი საკითხები არ უნდა წარმოადგინონ. იგი მოითხოვს გაირჩეს დამასკინის საქმე უფრო დასაბუთებულათ. (არჩევენ თხოვნებს).

გ. აბაშიძე—როდესაც წავაგებთ, მაშინ არავინ სამძიმრის ბარათსაც არ გვიგზავნის და როდესაც მოვიგებთ, მაშინ კი უნდა გაუნაწილოთ?

ს. ე. წერეთელი—ცხადია, ერთსა და იმავე პირობებში უპირატესობა უნდა მიეცეს ძველ მეპატრონეს, მაგრამ თუ დიდი განსხვავება იქნება, მაშინ კი არა.

შემდეგ კრებამ დაადგინა სამსახურისათვის დააჯილდოონ ევ ქუთათელაძე.

კრება გადადის ხარჯთ-აღრიცხვაზე, რომელიც მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცეს. მოსამსახურეებს სიძვირის გამო მოუმატეს 30% ჯამაგირზე, განურჩევლად თანამდებობისა.

თ-დ დ. ო. ნიჟარაძე (ირონიულათ) რადგანაც ცნობილია ქუთაისში, რომ უფროს მოხელეს ჯამაგირის მომატება არ უნდა და მას ჭამა არ ეჭირვება, ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ მოემატოს ჯამაგირი თავჯდომარესა და დირექტორებს.

შემდეგი კრება გადიდევა სადამოისათვის.

სადამოთი კრებამ ყუთი დაუდგ დამიიღო საკითხები.

1) 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, მოსამსახურეებზე 30% მომატებით.

2) მიეცეს უფლება შეერთებულ კომიტეტს 1?,000 მან. მოგება გაუნაწილოს სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებას.

3) დააკმაყოფილონ კიკიანის თხოვნა, რომ ეპატიოს ვალი.

5) ეპატიოს დ. ა. ლორთქიფანიძეს ახლანდელი გადასახადი ვალი.

5) ეპატიოს აკაკის სახლს ეხლანდელი გადასახადი. დანარჩენი თხოვნები არ დააკმაყოფილეს.

აგრეთვე უარყვეს ის, რომ შუამდგომლობა აღიძრას სამინისტროს წინაშე, რათა ნება დართონ ბანკის დამფასებლები ამოარჩიონ რწმუნებულების კრებაზე ისე, როგორც ეს ხდება თბილისის ბანკში.

შემდეგ კრებამ ერთხმათ ამოირჩია ბანკის თავჯდომარეთ თ დი ?. ფალავა და დირექტორათ ბ-ნი გ. ლასხიშვილი. კრება ორთავეს მხურვალე ტაშის ცემით მიეგება. კანდიდატათ ამოირჩიეს ს. გ. ყიფიანი, ზედამხედველ კომიტეტში ამოირჩიეს ვარლამ ჭილაძე დიდი ხმის უმეტესობით და გუბერნიის მარშალი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე. დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა კრების თავჯდომარეს ბ ნ პ. მოსიძეს.

კრება ღამის 11 საათზე დასრულდა.

# † ლორდ კიტჩენერი.

მსოფლიო ომმა ბევრი ძვირფასი წევრი გამოსტაცა კაცობრიობას.

ოფიციალი დეპეშა იტყობინება, რომ ორნეის კუნძულებთან ჩაუძირავთ ინგლისის კრეისერი „გემპშირი" რომელზეც ყოფილა მთელ დედა მიწის ზურგზე სიდარბაისლისა და სახელმწიფოებრივი ნიჭით განთქმული ლორდი კიტჩენერი.

ლორდ კიტჩენერს დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის სამშობლოს წინაშე. გაიხსენეთ ინგლისის ახალშენების არეულ-დარეული საქმეები" და ის გამუდმებული პარტიზანული ომები, რომელსაც ახალშენის მცხოვრებნი აწარმოებდენ ინგლისის წინააღმდეგ და რომლის დასრულების იმედიც ინგლისის მთავრობას თითქმის აღარცკი ჰქონდა.

მაგრამ აქ გამოჩნდა დიდ ბუნოვანი ლორდი კიტჩენერი. პირად ცხოვრებაში ის ნამდვილი არისტოკრატი იყო, მხოლოდ სახელმწიფოს საქმეებში უნიჭიერესი დიპლომატი. ლორდმა კიტჩენერმა საუკეთესოდ მოაგვარა ინგლისის ახალშენების საქმე და ისინი სრულიად მეტროპოლიას დაუმორჩილა.

ლორდი კიტჩენერი ახალშენების მიმართ არას დროს არ აღიარებდა სიმკაცრის საჭიროებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში კი, ესა თუ ის მხარე სახელმწიფოებრივ ღალატს ჩაიდენდა, მაშინ ლორდ კიტჩენერი მეტად შეუბრალებელი იყო. ლორდ კიტჩენერს დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული ინგლისის ყველა ახალშენში. მას დიდ პატივს სცემდენ ინდოელები, ეგვიპტელები, ოსმალები და სხვები.

ომის დაწყების დროს განსვენებული ლორდი კიტჩენერი სამხედრო მინისტრის მოვალეობას ასრულებდა და საქმეც სანაქებოდ წაიყვანა.

ომის წარმოების დროს ლორდი კიტჩენერი არ იყო აჩქარებული.—„ყოველთვის ყუმბარების გრიალი კი არ ვარგაო", უთქვამს ხოლმე განსვენებულს. ასეთი დიადი სახელმწიფოებრივი ნიჭის მქონე ადამიანის დაკარგვა აუნაზღაურებელ დანაკლისად ჩაეთვლება ინგლისის მთავრობას და მის მოკავშირეთ.

ეს მით უმეტეს იოქმის, რომ ლორდ კიტჩენერი თავის განსაკუთრებულ ნიჭის წყალობით ყოველი კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლას ადვილად ახერხებდა.

ser.

# ქართული ენა.

ეს რამდენიმე ხანია, რაც რუსეთის სწავლა განათლების სამინისტრომ წყალობის თვალით გადმოგვხედა და კერძო სასწავლებლებში ნება დაგვრთო საგნების სამშობლო ენაზე სწავლისა. ამ მოულოდნელ ბედნიერებას შეეძლო დიდი სამსახური გაეწია ჩვენთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მოუმზადებელნი დავხვდით ამ რეფორმას; არა გვაქვს სამოსწავლო წიგნები, არა გვაქვს შემუშავებული საჭირო სამეცნიერო ტერმინები, არც ქართულისა და სპეციალურ საგნების ერთსა და იმავე დროს მცოდნე მასწავლებლები გვყავს ბევრი და, რაც შეეხება კერძოდ ქართული ენის სწავლებას საშუალო სასწავლებლებში, არავითარი დამუშავებული საერთო პროგრამა არ მოგვეპოვება. ყველა სასწავლებელში მასწავლებელი ან ლიტერატურას ასწავლის კარგად, მხოლოდ ისტორიასა და გრამატიკას ზერელად ან კიდევ მოწაფეებს თავს აბეზრებს ლინგვისტურ წვრიმლმანებით, ლიტერატურაში კი ლექსების დაზეპირებას აკმარებს მოწაფეებს. ამ გარემოებას მოსდევს ის, რომ საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული ან ლიტერატურას არ იცნობს ჯეროვანად და ან ისტორიისა სრულიად არმცოდნეა. მაგალითად, ყველა ამასთან სდევს ერთი ნაკლი რომელიც უნდა მიეწეროს სხვათა შორის, ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის სისუსტეს! ეს ნაკლი შემდეგია: "ჩვენმა ახალგაზრდამ არ იცის, როგორ მიიღო ქართველმა საზოგადოებამ თანამედროვე სახე, რა ევოლიუცია განიცადა მე 18 საუკუნის ქართველმა მოწინავე წოდებამ, რა ცვლილება განიცადა ქართველმა გლეხობამ, რამდენი რა შემოვიდა 19 საუკ. საქართველოში ახალი და სხვა. ე ი. ჩვენს კურსდამთავრებულებს არა აქვთ ის, რაც ნაყოფია ლიტერატურის შესწავლა-შეგნებისა. თუ კი რუსული ლიტერატურის წყალობით ზემო აღნიშნული საკითხები გარკვეული აქვს რუსეთის შესახებ რატომ ქართველების შესახებ არ უნდა ჰქონდეს ის საკითხები გარკვეული?

ქართველი კურს დასრულებული არ იცნობს საკუთარ ერს არც პრაქტიკულათ და არც ლიტერატურის წყალობით, ხოლო თუ აქვს წარმოდგენა უთუოდ ტენდენციური, პარტიული, რაც ფრიად ანორმალურია.

ყველა ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გამომუშავდეს ერთი პროგრამა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის. სავალდებულო სახელმძღვანელოდ.

ამისთვის საჭიროა მოხდეს სრულიად საქართველოს ქართველ მასწავლებელთა ყრილობა, რის ინიციატივაც, ჩვენის ფიქრით, ქარ. შ. წ. კ. სახ. ამ უნდა იდვას თავს მით უმეტეს შესაძლებელია ესეთი ყრილობა, რომ ამის მაგვარი კრება კერძოდ გურიის მასწავლებლებისა უკვე იყო.

ბანი.

P. S. ეხლა სწორედ სწავლა ყველგან დამთავრდება მალე და ზაფხულში შეიძლებოდა ამ კრების მოწვევა. რა საკვირველია კრება ამას არ იკმარებს და გზა და გზა ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც გამოარკვევს ქართული სკოლის შესახებ.

საჭიროა ამ საკითხის შესახებ გამოსთქვან თავისი აზრი ჩვენმა პედაგოგიურმა ჟურნალებმა.

ბ.

# საშინელი ცეცხლი დ. საჩხერეში.

საშინელი უბედურება დატრიალდა აქ 23 მაისს, ღამის 11 საათზე, ერთი ებრაელის სახლს უეცრად გაუჩნდა ცეცხლი, ცოტა ქარი იყო და ელვის სისწრაფით მოედვა სხვა სახლებსაც. 93 ებრაელი და ერთი ქრისტიანი სულ გადაიწვა. გულშემზარავ სურათს წარმოადგენდენ ქუჩაში დაყრილი ბავშვები, მოხუცებულები, ავადმყოფები, და ახალგაზრდები ებრაელებისა. საშინელი იყო თითონ ცეცხლი, თითქოს მთელი ქვეყანა იწვისო. მშობლების მიერ ბავშვების ძებნა, და ბავშვების მიერ მშობლებისა გულს უკლავდა ადამიანს. დარბოდა ხალხი ჩაფებით, ვედრებით, მაგრამ განა შესაძლოა ასეთი საშუალებით დაქრობა ასეთი ცეცხლისა? და კიდეც შეიქნა 94 მოსახლე ამ სტიქიონის მსხვერპლი. საშუალება რომ არაფერი იყო გადაწყვიტეს რამოდენიმე შენობის დანგრევა, მაგრამ იარაღი ვერ იშოვეს, ნაჯახი არსად იყო, დავიჯერო ამხელა ბაზარი უნაჯახოთ სცხოვრობს? სადგურის უფროსის ვედრებაზე—არიქა წამყევით, ნასოსი მოვიტანოთ სადგურიდან, თორემ მთელი ბაზარი დაიწვებაო, არავინ ხმას არ იღებდა, იდგა გულხელდაკრეფილი თავის დუქნის წინ და შესტიროდა როგორ ინგრეოდა სახლი სახლზედ. ბოლოს დიდი ვაივაგლახით მასწავლებელ ს. კიკაჩეიშვილის მეცადინეობით იქნა გარეკილი ოცამდი კაცი, მოიტანეს ნასოსი, მაგრამ გვიან იყო, გაძლიერებულმა ცეცხლმა გაანადგურა ურიცხვი მოსახლე, რომელმაც ვერაფრის გადარჩენა ვერ მოასწრო და ყველაფერი ფერფლად იქცა. დიდ დანაშაულობათ უნდა ჩავუთვალოთ საჩხერის მცხოვრებლებს, რომ ისეთ ადგილას, როგორც დაბა საჩხერეა, სადაც მცხოვრებლების შენობები ერთმანეთს არის მიშენებული, არ ყავთ ცეცხლის მქრობელი რაზმი ამ საშინელი მაგალითის შემდეგ მაინც ეცადნენ, რომ დააარსონ აუცილებელი ცეცხლის მქრობელი რაზმი 24 მაისს, დილას ე. ი. მეორე დღეს ზოგიერთებმა რა დაინახეს უმწეო მდგომარეობა, მშიერ-მწყურვალ-ტიტველ ებრაელებისა, დაგვიანება არ სცნეს საჭიროდ, გააკრეს განცხადება, დაგზავნეს ბარათები და მოიწვიეს კრება დამხმარე კომიტეტის ასარჩევად. კრებაზე საკმარისი ხალხი დაესწრო, აირჩიეს თავმჯდომარე, გაიხსნა კრება. კამათის შემდეგ აირჩიეს კომიტეტი ცხრა კაცისაგან. არჩეული არიან სამი ებრაელი, ორი სომეხი, და როგორც კი დაასახელეს ქართველებიდან კანდიდატები ზოგიერთების უადგილო ჯიუტობით მოთხოვნილ იქნა კრების გადადება, რაც შესრულებული იქნა უკანონოდ, რადგანაც თითქმის კრებამ ნახევარი მუშაობა შეასრულა.

არ შემიძლია არ ვუსაყვედურო ბ. თავჯდომარეს, რომელმაც გამოიჩინა ერთგვარი სისუსტე. მომავალი კრება დანიშნულია 26 მაისს, პარასკევს, 10 საათზე.

სასურველია, რომ მაშინ მაინც არ ექნეს ადგილი ისეთ რამეებს, რასაც ქონდა წასულ კრებაზე, ხოლო რას ქონდა ადგილი წინა კრებაზე, თითოეული ჩვენთაგანი, ვინც იქ ვიყავით, უნდა გრძნობდეს და ამიტომ არ ვასახელებ. ვუსურვებ კი, საქმე ისე დაბოლავებულიყოს, როგორც ამას მოითხოვს საქმის მდგომარეობა.

გ—დ.

---

...რული! აი რატომ მომიახლოვდი! ოჰ, ცათა მეუფეო, რა იქნებოდა უჩემოთ შენი სიყვარული?

შენ შემქმნი ყველა შენ საუნჯეთა მოზიარეთ. ჩემს გულში დაისადგურა შენი სიყვარულის განუწყვეტელმა თრთოლვამ. ჩემს არსებაში შენი ნებაა დამარხული.

მეფეთ-მეფეო, ჩემდა მოსახიბლავად შეიმოსე სილამაზით. და აი, შენი სიყვარული ეზიარება შენვე ტრფობის სიყვარულს და შენც ნათლად სჩანხარ მათს კავშირში.

* * *

ნათელო, ჩემო ნათელო, მსოფლიოს მხსნელო ნათელო, თვალმჭრელო ნათელო გულთა დამატკბობელო ნათელო!

ვიშ! ციგლიგობს ნათელი ჩემი სიცოცხლის გულში, ჩემო სანატრელო; ცა იხსნება, გრიგალი შხუის, კისკისი გაისმის მთელ ქვეყანაზე.

პეპელნი აფრას შლიან ნათლის ზღვაზე. იასამანი და სოსანი ნათლის ტალღებში იშლებიან.

ჩემო სანუკვარო, თითოეულ ღრუბლის ნაკვეთზე ოქროსფრათ იბნევა ნათელი და ულევლათ მოსჩანს ლალი და იაგუნდი.

ფოთლიდან ფოთოლზე გადადის მხიარულება, ჩემო სასურველო, და საზღვარი არ უჩანს აღტაცებას. ცის მდინარე გადასცდა კალაპოტს და სიხარულმა წალეკა ყველაფერი.

* * *

შენ შეახმატკბილე ჩემს საგალობელში ყველა მხიარულებანი: მხიარულება, რომელ დედამიწას აიძულებს გაეხვიოს შმაგ ბალახ-ბულახთა სიუხვეში, მხიარულება, რომელ თავბრუს ახვევს განუყრელ მეგობართ—ყოფნა არ ყოფნას—ცეკვის ჟამს უსაზღვრო ქვეყანაში, მხიარულებას, რომელ გრიგალთან ერთად სიცილით მოჰქრის, არყევს და აღვიძებს სიცოცხლეს, მხიარულება, რომელ გულ ღია წითელი ლოტოსის წამებაში ირხევა თვალცრემლიანი და, მხიარულება, რომელ მოკლებულია მეტყველებას და მტვრათ აქცევს ყველას.

* * *

დიახ, ვუწყი, რომ ყველა ეს სიყვარულია შენი, ჩემი გულის ტრფობავ: ეს ოქროსფერი ნათელი, რომ ციალობს ფოთლებზე, ეს ზარმაცი ღრუბელნი, რომ მისცურავენ ცის კიდურებზე, ეს ოდნავი სიო, რომ სიგრილეს მაგრძნობინებს ყელ ყურზე.

ცისკრის ნათელმა დაატყვევა ჩემი თვალები: ეს ხომ შენ უგზავნი ჩემს გულს მახარობელს.

შენი ხატება ჩემსკენ დაიხარა, ჩენი თვალები შესცქერიან ჩემ თვალებს და ჩემი გულიც ეხება შენ ფერხთა ტერფს.

უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს თამაშობენ ბავშვები. მშვიდია უსაზღვრო ცის კაბადონი და აღშფოთებული მღელვარებენ ზღვანი. უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს თამაშობენ ბავშვები.

ქვიშისაგან აგებენ სახლებს და ერთობიან ცარიელი სადაფებით. დამჭკნარ ფოთოლთაგან აშენებენ ხომალდთ და ღიმილით უშვებენ უძირო ზღვაში.

ბავშნი მხიარულობენ ქვეყანათა ზღვის ნაპირს.

მათ არ იციან ცურვა, არც მებადურობა სადაფთ მაძიებელნი ყვინთავენ ზღვაში, ხომალდით მიეშურებიან სოვდაგარნი, ბავშნი კი ზღვის კენჭებს აგროვებენ, რომ კვალად გააბნიონ. არ ეძებენ ბავშნი ფარულ საუნჯეთ და არც მებადეობა იციან.

ზღვა კი თრთის, მკრთალათ აშუქებს ნაპირის ღიმილიც. სიკვდილი საგალობლებს უმღერის ბავშებს, ვით მშობელი ნანას უგალობს პირმშოს. ზღვა ეთამაშება ბავშვებს და ნაპირის მკრთალი ღიმილიც აშუქებს მათ.

უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს ხვდებიან ერთმანეთს ბავშვები. გზა აბნეული გრიგალი მძვინვარებს, ხომალდნი იღუპებიან უძირო ზღვაში. გარემო სიკვდილს მოუცავს, ბავშები თამაშ განაგრძობენ. უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს ბავშთა დიდებული ყრილობაა.

* * *

სადაა ჩვილი ყრმის თვალთაგან გადმოფრენილი ძილის დასაბამი? დიახ, ამბობენ მისი სამყოფი ზღაპრული მხარეაო, გაუვალი ტყე, სადაც ოდნავ ჩაიჭრებიან სხივნი, სად ნაზად ინახება ორი სათუთი კვირტი. იქიდან მოდის, რომ ეამბოროს ყრმის თვალებს.

ვინ იცის, სად იშოვება ღიმილი, რომელ ხშირი სტუმარია ჩვილი ყრმის მძინარე ბაგეთა? დიახ, ამბობენ ახალი მთვარის მკრთალი შუქი შეეხო შემოდგომის მდნარ ღრუბელთ და ნამიანი ცისკრის ოცნებაში გამოინაკვეთა ის. ღიმილი რომელ მძინარე ყრმის ბაგეთ დაკიაფობს.

ვინ იცის, სად იმალებოდა ნაზი სიწითლის ხალი, რომელ ჩვილი ყრმის ლოყებზე ყვავის? მართლა როდეს ახალგაზდა ქალწული იყო დედამისი, ბავში ავსებდა მის გულს სიყვარულის უტყვი და მშვიდი საიდუმლოებით,—ეს იყო ნაზი, სათუთი სიწითლე, რომელ ბავშის ლოყებზე ყვავის.

გ. შუმლაძე.

# ქართველ ებრაელებს!

დასასრული იხილე „სამშობლო“ № 364

ბ. ბააზოვი მოგვიწოდებს ჩვენ, ქ. ებრაელთა ახალგაზდობას, შევვერთდეთ, შევკავშირდეთ, მოვაწყოთ საკუთარი ორგანიზაცია, რითაც შეძლება გვექნება, სათანადო პასუხი გავსცეთ ჩვენს მტერსა და მოყვარეს, დამცველსა და გამცემს; ასეთი შეერთება-შეკავშირება მოგვცემს საშუალებას, პატივი-ვსცეთ ჩვენს პატივის მცემელს, მტრობა გავუწიოთ ჩვენს მტერს, დავეხმაროთ ვინც ღირსია დახმარებისა, და ჩვენც დაგვეხმარებიან ვის ყურადღებასაც ჩვენ დავიმსახურებთ. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენი არსებობა ყოვლად შეუძლებელია, მაშ, გავახილოთ თვალები, გადავხედოთ ახლანდელ რთულ ცხოვრებას და ჩვენთვის ნათელი გახდება ის, რასაც ასე ბეჯითად ჩაგვჩიჩინებს ეს პატივცემული პირი.

ახლანდელმა უმაგალითო ომმა არა თუ ჩვენისთანა პატარა სუსტი და უსუსური ეროვნება, არამედ ბუმბერაზი სამეფო და ქვეყნის მბრძანებელ-მპყრობელნიც კი, დიდს საგონებელში ჩააგდო, და, რა საკვირველია, რომ ჩვენ არათუ დაკვირვებული და დაფიქრებული ვიქნეთ, არამედ შეშინებული და დამფრთხალიც, რადგან ჩვენ თვით კარგათ ვიცით ჩვენი ავლა-დიდება, ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა.

პოლიტიკურ მფარველობას რომ სხვა გვიწევდა და ახლაც სხვა გვიწევს, ამისი უარისყოფა არ შეგვიძლია, მაგრამ ახლა რომ თავისი თავი უჭირს კაცს და შენ ველარ მოგხედოს, რაღა სასაყვედურო გვექნება! და რომ კიდევაც მოგვხედოს და მფარველობა გაგვიწიოს, განა ღირსნი ვიქნებით ასეთის მფარველობისა ჩვენ რომ ხელდაკრეფილნი, პირდაღებულნი და პირში წყალდაგუბებულნი მათ მივაჩერდეთ და გამზადებულ სტოლზე ფეხი მაგრათ მოვირთხათ?

ეკონომიურათ რომ ჩვენი მდგომარეობა განსაცდელშია, ვერც ამას უარვყოფთ. ჩვენი არსებობის ერთადერთი წყარო მხოლოდ ვაჭრობა მრეწველობაა და თუ ამასაც კარგათ ჩავუკვირდებით, ამ მხრითაც განსაცდელი მოგველის; ეს ერთადერთი წყაროც ხელიდან გვეცლება, რადგან, როგორც ყოველგვარ-საქმეში, უკეთესი ტეხნიკური და ეკონომიური მომზადებაა თავდები ერის ნივთიერათ გაღონიერებისა და ჩვენ კი აქაც სუსტნი ვართ. მიწა-წყალი ჩვენ არა გვაქვს, რომ მეურნეობას მოვკიდოთ ხელი. და კიდევაც რომ გვქონდესთ, გვაქვს კი საამისო მომზადება და ცოდნა, რომ მეურნეობით ჩვენ ვიარსებებოთ?

ყოველივეს თქმა და ყოველივეს დაწერა, რაც ჩვენ გვაკლია და რაც გვესაჭიროება, ყოვლად შეუძლებელია.

ხოლო ეს ერთი რამე კი უნდა ვსთქვა, რომ ყოველგვარი არსება თავისი მოვალეობის ასრულებისთვის არის გაჩენილი, და ჩვენც ჩვენი მოვალეობა გვაქს, რომელიც ჩვენ აუცილებლათ უნდა ავასრულოთ. სამწუხაროთ, ეს ღვთიური მცნება ხშირათ გვავიწყდება და არ ვასრულებთ. ღმერთმა რომ გვაპატიოს ეს დანაშაული, კაცი არ გვაპატიებს და სასტიკათ დაგვსჯის; ჩვენი მოვალეობა კი როგორც ღვთისა და ჩვენი თავის სამსახური და პატივით მობყრობა, აგრეთვე ჩვენივე მოძმე მეზობელთა პატივისცემა და თანაგრძნობით მოპყრობაა, ჭირსა და ლხინში შეერთება და საერთო საქმეში საერთო შრომისა და ენერგიის დახარჯვაა, თორემ ყოველთვის თავზე არავინ დაგვისვამს, ხელზე კაკალს აღარ გვიგორებს და ჩვენც მოგვთხოვენ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას, ანგარიშის გასწორებას და მაშინ, თუ ჩვენი მოვალეობა შესრულებული არ გვექნება, დაგვგმობენ, გაგვრიცხავენ და ეს კი არა თუ წაწყმედა და ჯოჯოხეთი იქნება ჩვენთვის, არამედ უარესი სასჯელი და რომ არცერთი ეს არ დაგვემართოს, საჭიროა დაფიქრება, დაკვირვება, ძალ-ღონის მოკრება მართლმორწმუნეობისა და სინიდისიერების აღდგენა. ურწმუნოებისა და უსინიდისობის განდევნა და დაგმობა, ძმობა-ერთობა, ამხანაგობა, ერთმანეთის გამტანობა, სხვისი პატივისცემა და თავის თავის ანგარიშისა და ფასის დადება, ყოველივე ეს შეიძლება არა იმ გზით, რომ ჩვენ ძველებურათ და ჩვეულებრივათ გავყვეთ ჩვენს დამღუპველ ცოცხლათ შემჭმელთ, არამედ იმით, რომ ჩვენ უნდა შევვერთდეთ, ძმურათ მოვაწყოთ ჩვენი საკუთარი ხალხური ორგანიზაცია, როგორც ბ. ბააზოვი ბრძანებს, საერთო და საუკეთესო გზა და გამოვარკვიოთ ჩვენი მდგომარეობა, როგორიც შესაძლებელი და უკეთესი იყოს ისეთი გზა და ისეთი მიზანი დავისახოთ და გავიხადოთ ჩვენს მოვალეობათ.

შეიძლება ყოველივე მან მოითხოვოს ჩვენგან ბევრი რამ, მაგრამ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი მდგომარეობა გავიუმჯობესოთ და მთლათ წყალმა და მეწყერმა არ წაგვლეკოს, თუ გვწამს ჩვენი სინიდისი და ღმერთი, თუ გვიყვარს ჩვენი თავი და ჩვენი მომავალი თაობა, ყოველივეს ჩევსძლებთ, ყოველივეს ავიტანთ და ყოველივეს გავაკეთებთ, რადგან ყოველგვარსკეთილ საქმეს, ყოველთვის ღმერთიცა და კაციც ეწევა, ეხმარება.

სიტყვას საქმე უნდა და ამისთვის მეც მზათ ვარ ვემსახურო ამ საქმეს, წევრათაც ჩავეწერო და აგრეთვე ჩემსავე პატარა სოფელში მყავს ამ საქმის თანამგრძნობი 20—30, რომელნიც მზათ არიან პირველ მოწოდებისათანავე წევრებათაც ჩაეწერონ და ყოველგვარი შრომაც იკისრონ.

იმედია, რადგან დიდათ მოწყალე პატივცემული ქართული პრესა სიამოვნებით უთმობს საპატიო ადგილს ჩვენს შესახებ წერილებს და ყურადღებითაც გვეპყრობა, აწიც არ მოგვაკლებენ მფარველობას და მოწყალებას და ამით საშუალება გვეძლევა ჩვენი აზრი გამოვსთქვათ მათის პატივცემულ პრესის საშუალებით, ჩვენც ვეცადოთ ვისარგებლოთ მათი ასეთი გულკეთილობით და ვისაც რაიმე სათქმელი აქვს და აინტერესებს ეს საქმე, თავისი აზრი გვამცნოს.

რაც შეეხება კრიტიკულათ მოქცევას, ეს კი მავნებელი უნდა იქნეს, რადგან მე მხოლოდ საქმის ამოძრავება და დაწყება მაინტერესებს და არა მისი რომელიმე, პროგრამა. და როცა საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგება, ყოველივე სამართლიანი კრიტიკა აუცილებელი გახდება, რომ უფრო კარგათ და სათანადოთ მოეწყოს ჩვენი საქმე როგორც ქართველ ებრაელთა, ისე მის მეზობელ ერის საკეთილდღეოთ.

ილ—ა ებრალიძე.

# გურიის მასწავლებელთა კრება ქ. ოზურგეთში.

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 360).

კრება იხსნება ორშაბათს, დილის 9 ს. გასარჩევია შემდეგი მორიგი კითხვა: სამაზრო სასწ. ნივთების შესახებ.

პ. თოთიბაძე—გურიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ აუცილებელ საჭიროთ სცნო დაარსება სამაზრო სამოსწავლო წიგნების მაღაზიისა, რომ მასწ. საშუალება ჰქონდესთ, რაც შეიძლება ადრე, მიაწოდოს მოწაფეებს სამოსწავლო ნივთები და მით ხელი შეუწყოს სწავლა განვითარების წინმსვლელობას სკოლებშიო.

ა. ცინცაძე—ყოვლად შეუძლებელია დღევანდელ პირობებში ასეთი საქმის სისრულეში მოყვანა. ჩვენ არა გვაქვს არავითარი თანხა და არც შეგვიძლია ჯერჯერობით დავაარსოთ ფონდი ამ მიზნისათვის, ვინაიდან ჩვენ ბევრი სხვა მდგომარეობა გვაწუხებს—რის გამოც ეკონომიურ კრიზისს განვიცდით

ს. წაქაძე—გადაიდვას დღიურებიდან, რომელიც ამ მოკლე დროში უნდა ავიღოთ, 25 მან. თითოეულ მასწავლებლისაგან და მით დავაარსოთ ფონდი, ხოლო ამასთანავე თუ ეს თანხა არ იკმარებს— მაშინ ვსთხოვოთ მთავრობას, რომ დახმარება ამოგვიჩინოს ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ—ეს მით უფრო, რომ კანონის ძალით, თითოეულ სკოლას შეუძლია სესხათ აიღოს მთავრობისგან დაახლოებით 115—150 მ.

ა. ცინცაძე—კვლავ ვრცელი განმარტებით იმეორებს თავის წინანდელ წინადადებებს და ამტკიცებს, რომ თანამედროვე პირობებში ყოვლად შეუძლებელია სამაზ. სასწ. ნივთების ცენტრალურ მაღაზიის დაარსება, ამიტომ წინადადებას იძლევა მოიხსნას ეს საკითხი და ამის შესახებ ვიმსჯელოთ მომავალ კრებაზეო. ცინცაძის წინადადებას კენჭი უყარეს და ხმის უმრავლესობით გადაწყდა: დარჩეს სამაზრო სასწ. ნივთების საკითხი დროებით გაურჩეველი.

იხილვენ სამაზრო პედაგოგიური წიგნსაცავის დაარსების საკითხს.

თავჯდ. თოთიბაძე ამბობს—გამგეობამ საჭიროთ სცნო დაარსდეს სამაზრო პედ. წიგნსაცავი დამოუკიდებელი მთავრობისაგან, ე. ი. იქ იქნება ისეთი პედაგოგიური წიგნები, რომლებსაც ჩვენ ამოვირჩევთო.

ს. წაქაძე—ამბობს, რომ ისეთი ტიპის პედაგ. წიგნსაცავის დაარსება, რომელიც გვაუწყა ბ. თოთიბაძემ შეუძლებელია. ამის ნებას მთავრობა არ მოგვცემს, და ამისთვის საჭიროა მთავრობის შეთანხმებით გავხსნათ წიგნსაცავიო. ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ სამაზრო პედაგოგიურ წიგნსაცავის დაარსების საკითხი მომავალ კრებამდი გადაიდვას გაურჩეველი.

ექსკურსიების მოწყობის შესახებ თავჯ. გამგეობისა პ. თოთიბაძე ამბობს, რომ აუცილებელი საჭიროა ჩვენი ქვეყნის შესწავლა და სხვა პროვინციისა და დაბა ქალაქების და ქართულ ზნე-ჩვეულების გაცნობა შესწავლა, რადგან თითოეულს ჩვენგანს უწევს ამ საგანზე საუბარი თავის მოწაფეებთანო.

ხერხეულიძე საჭიროთ სცნობს ექსკურსია მეცნიერული ხასიათის დარჩეს, მოწვეულ იქნას მცოდნე პირი—ან ეთხოვოს თბ ქართულ კულტურულ მოყვარულ საზ. გამოგზავნონ მცოდნე პირიო.

ბ რამიშვილის წინადადებით—ეს საკითხიც უსახსრობის გამო ხმის უმეტესობით შემდეგისათვის გადაიდვა.

შემდეგი მორიგი კითხვა იყო: საგუბერნიო კავშირის საპატიო წევრის ბესარიონ ფარცვანიას კავშირიდან დათხოვნა. ეს საკითხი პირველად ბევრისათვის გაუგებარი იყო, მაგრამ, როცა თოთიბაძემ დაწვრილებით აუხსნა კრებას ფარცვანიას ვინაობა და მისი განაშაულობანი, მაშინ ბევრი თავისთვის გაიძახოდა: —„ჩვენ ხომ მსაჯულები არა ვართ, რომ მათი საქმე გამოვიძიოთ; როცა დაამტყუნებენ მაშინ დავითხოვთ წევრობიდანო“.

მ. საბაშვილი წინადადებას იძლევა ფარცვანია დათხოვნილ იქნას საგუბერნიო წევრობიდან იმ დრომდე, ვიდრე თავს გაიმართლებს. ხმის უმეტესობით საბაშვილის წინადადება გავიდა.

შემდეგმა მორიგ საკითხმა—ზნეობრივმა მხარემ მასწავლებლებისამ—უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

პ. თოთიბაძე—საჭიროა ამ თავიდანვე სათანადო ყურადღება მიექცეს მასწ. ზნეობრივ მხარეს. მე მგონია საჭიროა დაფარული კენჭის ყრით გამოირკვას დამნაშავე პირები, მოხდეს კანონიერი და მიუდგომელი გამოძიება ამის შესახებ და შემდეგ ბრალდებულნი ეუწყოს საზოგადოებასო.

სტუდ. ი. უშვერიძე—ნება მომეცით კრებას გავაცნო ერთი მასწავლებლის ღირსეული მოქმედება—სახელსა და გვარს არ ვიტყვი, არამედ „მასწავლებლის“ სახელით ვილაპარაკებ.

ს. რამიშვილს უხერხულად მიაჩნია ასეთი ლაპარაკი უშვერიძისა, მით უფრო, რომ ეს საკითხი უფრო გამწვავდება და მეტს დროს წაგვართმევსო. ამის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: თითოეულმა მასწავლებელმა ამ მოკლე ხანში აცნობოს გამგეობას წერილობით შემჩნეული მასწავლებელი და აღნუსხოს წერილში ბრალდებანი შემდეგ გამგეობა გამოიკვლევს, თუ რამდენათ მართალი იქნება ესა თუ ის მასწავლებელი და მომავალ კრებასაც გამოუცხადებს. კრება ეთანხმება რამიშვილის წინადადებას. სამღვთო სჯულის სწავლების შესახებ საკითხი გადასდვეს გასარჩევათ შემდეგი კრებისათვის.

ეგლეკტიკი.

# სურამ-ხაშურის ავკარგი.

მთელი ზემო ქართლის უმთავრეს სავაჭრო ცენტრად სურამ-ხაშური ითვლება.

მშვენიერია ამ დაბების ბუნება თავისი მთაგორაკებით, ამწვანებულ მინდორ ველებით და განსაკუთრებით თავის საუცხოვო ჰაერით. ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე უმაგალითო ომმა ძირიან-ბუდიანათ ააოტრიალა თითქმის ყველა მიერუებული სოფლის ცხოვრება, რის წყალობით თავი იჩინა ათასგვარმა ბნელმა ძალებმა, მაგრამ გაიდგა ფეხი სპეკულიაციამ, ვაჭრების მხრივ სხვადასხვა ხრიკებმა ფრთა გაშალა და ყოველივე საზღვარს გადასცილდა, დღეს მთელი ცხოვრება მისი გამხდარა და ხალხის ბატონათ ის გადაქცეულა, ვინც ფულს ატრიალებს, ვისაც მუშა ხალხის ბედ-იღბალი ხელში დაუჭერია და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა.

აი, ამ მოვლენამ ხალხი შეაფიქრიანა, მჭიდროთ შეაკავშირა და საერთო ძალით შესაფერ აგიტაციას ეწევა მის წინააღმდეგ. აარსებენ ყველა დაბა-სოფელში მომხმარებელ კოოპერატივებს, ფურნეს, საკრედ. ამხანაგობებს და სხვა. კერძოთ ამ საერთო მაჯის ცემას არც სურამ ხაშური ჩამორჩენია. ხაშურში დაარსებულ იქნა კოოპერატივი „ცხოვრება“, ფურნე. თუ რა ნაყოფი მოუტანა აქაურმა კოოპერატივმა ხაშურის საზოგადოებას' ამაზე შემდეგ მოვახსენებ მკითხველს...

დაბის უმთავრეს სულიერ საზრდოს შეადგენენ სამკითხველო და თეატრი, და ყველა, ვისაც სოფლისათვის გული შესტკივა და მაზე ზრუნავს, ზნეობრივად ვალდებულია ხელი შეუწყოს მის მოღონიერებას და სასურველ ნიადაგზე დაყენებას. განვიხილოთ კერძოთ ესენი სურამსა და ხაშურში. სურამის დრამ. საზოგადოების მოქმედების გარჩევა ზედმეტად მიმაჩნია, რადგან მაზე საკმაოდ ითქვა ჩვენს დღიურ გაზეთებში („თან. აზრი“ აპრ. თვე). სურამის სამკითხველო კი, ჩვენის აზრით, მარტო სახელს ატარებს და თავის მოვალეობას ოდნავადაც ვერ ასრულებს, ამაში დამეთანხმება ყველა ის, ვინც იცის დაახლოვებით მისი არსებობა—მოქმედება. სამკითხველოს კარები, უმეტეს დროს, გამოხურულია. თუ ოდესმე გააღეს, მაგიდაზე ადამიწლის მტვერ გადაყრილს გაზეთებს შეხვდებით. მერე მიზეზი: ალაჭმა უწყის!..

ნუ თუ ასეთ კეკლუც დაბას, სადაც მოწინავე ელემენტები ცოტათ თუ ბევრად მოიპოვება, არ შეუძლია სამკითხველოს შენახვა! სურამის საზოგადოება მაინცა და მაინც არც ისე დაქვეითებულია მატერიალურად, როგორც მაგალითად სხვა ქართლის დაბა-სოფლები, რომ ერთადერთი სამკითხველო ვერ შეინახოს! რითი აიხსნება ასეთი ინდეფერენტიზმი სამკითხველოსადმი!? მოგეხსენებათ: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებათ; და სურამის საზოგადოებაც რომ თანაგრძნობით ეკიდებოდეს ასეთს სიმპატიურ დაწესებულებას ერთი კი არა, სამს მშვენიერ სამკითხველოს შეინახავდა. ცნობილია, როდესაც სხეული დაუძლურდება, ყოველივე ავადმყოფობა მასში ადვილად იკიდებს ფეხსო. სწორედ ახლა საჭირია ორი დიაგნოზი, თავგამოდებული მზრუნველობა სამკითხველოს, სანამ ცოტაოდენი სული კიდევ შერჩენია, რომ ერთხელ დაუძლურებული ორგანიზმი სულმთლად არ დაიშალოს. ამიტომ მოვუწოდებ სურამის მოწინავე პირთ და თვით სამკითხველოს წევრისუფლებს—მოიწვიონ საზოგადო კრება, აირჩიონ ახალი გამგეობა, რაც შეიძლება მეტი წევრები შემოიკრიბონ თავის გარშემო, რომ მჭიდრო ნიადაგზე დააყენონ სამკითხველოს ბედ-იღბალი.

(დასასრული იქნება).

### კიდევ ღია წერილი „სახ. ფურც.“ რედაქციას.

გაზეთ „სამშობლოს“ ... ღია წერილი „სახალხო ფურცლის“ რედაქციის მიმართ, სადაც ... „სახალხო ფურცლის“ რედაქტორს დავასახელებია ქრონიკიორი, რომ გამომეწვია სამედიატორო სამართალში იმ ცნობის გამო, რომელიც მან მოათავსა „სახ. ფურც.“ 568 № მი ჩემს წინააღმდეგ, ვითომც მე ფალსიფიკაციურ შაბი აბსს ვეძიდე, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიავი სიმართლის აღსადგენათ მიმემართა ოფიციალურ სასამართლოსთვის. ამ წინადადების მიცემის დროს, სამწუხაროთ არ აღვნიშნე ვადა, ამიტომ განმეორებით მივმართავ „სახ. ფურც.“ რედაქ. ამ წერილის დაბეჭვდიდან 5 დღის განმავლობაში დაასახელოს ქრონიკიორი, რომ გამოვიწვიო სამედიატორო სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მივმართო ოფიციალურ სასამართლოს, სიმართლის აღსადგენათ.

დიმიტრი იორდანეს ძე ჯალაგანია.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**




## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. 5 წ |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 45 „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 25 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. 5 „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 10 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 5 ს. 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 6 ს. 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. ს დგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## სიფილისი.

უოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)